სამშობლო, დიდის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1993
ხუთშაბათი
20
მაისი
№20 (10611)
ფასი 5 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის სადღეისო საზრუნავი

ორსანტია—ამ სოფელს გამრჯე მეურნეთა სოფლის სახელით იცნობდნენ წლების მანძილზე. ხელმიშვებული სანერგეები, დაუმუშავებელი პლანტაციები, საკვების უქონლობის გამო გაუქმებული მეცხოველეობის ფერმა, განზე გამდგარი გლეხკაცი,—გასული წლის სინამდვილე ასეთი იყო სოფლად. განუზომელმა ტკივილებმა, ქაოსმა, სიდუხჭირემ წელში გაწყვიტა სოფელი და მისი ნამდვილი პატრონი.

# იგრძნობა გამოცოცხლება

გამოსავალი, თავის დახსნის საშუალება მხოლოდ ფუტკარივით შრომაშია. ეს კარგად აქვთ შეგნებული სოფლის თავკაცებს, რომლებიც ძალასა და ენერგიას არ იშურებენ ახალი გზების ძიებაში. როგორც მეურნეობის ხელმძღვანელმა თ. ზესელიამ გვითხრა, ყინული ნელნელა ლღვება და საქმეს სასიკეთო პირი უჩანს.

სოფელში უკვე გადაიდგა მიწის პრივატიზაციის პირველი ნაბიჯები. ჩატარდა საინვენტარიზაციო კრება, დამთავრდა საზღვრების დადგენა, კატეგორიებად დაყოფა. საზოგადოებრივ სექტორს რჩება მხოლოდ ჩაისა და თუთის პლანტაციები, დანარჩენი მიწა მოსახლეობაზე გაიცემა პრივატიზაციის წესით. თუმცა ჩაის ამოძირკვის შემთხვევებიც იყო. მავანმა და მავანმა სპორტული მოედანიც კი შემოღობა—ჩემს წინაპარს ეკუთვნოდაო ძველად. მიწისადმი ასეთი დამოკიდებულება ხელს უშლის სოფლად მიმდინარე პროცესებს.

იმედია, სოფლის ყრილობა, რომელიც უახლოეს დროში გაიმართება, ბევრ რამეს გადაწყვეტს და ყველაფერი თავის სახეს მიიღებს. ცხადია, სამართალდამცავი ორგანოებიც იტყვიან სათქმელს.

ამჟამად სოფლად მღელვარე დღეებია. მთელი ძალები სახნავ სათესი მინდვრებისაკენ არის მიმართული. შენარჩუნებული ტექნიკა საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარების ერთ-ერთი გარანტიაა. მოხნულია 120 ჰექტარზე მეტი. თვეზე მეტია მიმდინარეობს ჩაის ბუჩქების გასხვლა. რომ არა საწვავის უკმარისობა, ეს სამუშაოებიც ამდენს არ დაახანებდა. მალე მიიღებენ რაიონში შემოზიდული სასუქებიდან კუთვნილ წილს. მდიდარი ტრადიციების მქონე სოფელში ნამდვილად იგრძნობა გამოცოცხლება.

მ. ჯონჯუა,

სიახლე

## სასიკეთო საქმე

ახალაბასთუმნის საზოგადოებრივ მეურნეობაში ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მეცხოველეობის ფერმის ბაზაზე იქმნება საკვებწარმოების საამქრო, რომელიც გამოუშვებს კომბინირებულ საკვებს.

აღნიშნული საამქრო ხელს შეუწყობს კერძო მეცხოველეობის განვითარებას. საკვები ბაზის განმტკიცებით გლეხს მიეცემა საშუალება იყოლიოს ორი ან მეტი საქონელი.

საამქროს მიერ შეღავათიან ფასებში კომბინირებული საკვების გამოშვების უზრუნველსაყოფად ერგეტის უბანში გამოყოფილია 50 ჰექტარი საკვებად სათესი ფართობი.

საამქრო ადგილობრივი და შეძენილი ნედლეულით უზრუნველყოფს კომბინირებული საკვების გამოშვებას.

ადგილობრივი ხელმძღვანელობის ხელშეწყობა კერძო მეცხოველეობის განვითარებისათვის სასიკეთო საქმეა.

გ. ასათიანი.

## პატივი მიაგეს დიდოსტატს

უდიდესი სიყვარული და პატივი მიაგო ქართული პროზის დიდოსტატს კონსტანტინე გამსახურდიას ზუგდიდმა. ამის მშვენიერი საბაბი გახლდათ დიდი მწერლის დაბადების 100 წლისთავი, რომლის აღსანიშნავად დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა ზუგდიდის დრამატული თეატრის შენობაში.

დიდოსტატის შემოქმედებაზე ისაუბრეს ბატონებმა: გიორგი შენგელიამ, რენე კალანდიამ, გიორგი სიჭინავამ, ანზორ გვარამიამ, ზაურ ქობალიამ, მერაბ ჩუხუამ, ლოთი ქობალიამ, მედიკო კეიდიამ, ვალერი გაბელიამ, ზაურ გერგედავამ და სხვებმა. მხატვრულ—შემოქმედებითმა ძალებმა მაყურებლები დაატკბეს თავიანთი გამოსვლებით.

ამ საოცრად თბილმა საღამომ ერთხელ კიდევ ნათელყო, რომ უკვდავია „კოლხური კოშკის" ბინადრის შემოქმედება. მისი მხატვრული, თუ პუბლიცისტური სიტყვის მაგია მარადჟამს იქნება ქართველთათვის ის სულიერი მუხტი, რომელმაც ჩვენს ერს ჭეშმარიტი ზნეობრივი და ესთეტიკური ზეობა უნდა მოუტანოს.

# აფხაზური ტრაგედია გრძელდება

ყოველდღე შემაძრწუნებელი ინფორმაციები მოდის აფხაზეთიდან. ნანგრევებად იქცა მილიონობით ადამიანისთვის სათაყვანებო ქალაქი —სოხუმი. მტერი უკან არ იხევს. უკვე ათასობით სიცოცხლე დაიფერფლა, ბევრი უგზოუკვლოდ დაიკარგა. აფხაზური ტრაგედია ჯერაც არ არის გაცნობიერებული. მისი სისხლიანი ნაკვალევი საუკუნის შემდეგაც მიუტევებელ ცოდვად დაედება ომის გამჩაღებლებს, იმათ ვინც წლების მანძილზე წვეთ—წვეთობით უშხამავდა ჩვენი უძველესი მოყვრის გონებას და ძმის მოსაკლავად იარაღის ასაღებად აქეზებდა, ბოროტი ხმით ჩასისინებდა, მალულად ზურგს უმაგრებდა. ტყვია—წამლით ამარაგებდა.

ომს ბოლო არ უჩანს. პირიქით, მძლავრობს, ბობოქრობს. მშვიდობის მოლაპარაკებას შედეგი არ მოაქვს. აშკარაა დიდ რუსეთს არ სურს პატარა საქართველოს ხელიდან გაშვება. რა ქნას ქართველობამ? დათმობა სჯობს თუ ერთიანად ამოხოცვა. ისტორიულად ქართველი ჯაბანი არასდროს ყოფილა. არაერთგზის მორევია საშიშ მტერს, მაგრამ მას მორევია ერთიანი, შეკავშირებული და ძლიერი, და არა დაქუცმაცებული, დანაკუწებული, ძმის სისხლში მყვინთავი და გულღვარძლიანი.

სამწუხაროდ იმისა, რომ ა... პოლიტიკოსი ვარ (და შეიძლება ჩემმა აზრმა ღიმილი მოჰგვაროს ბევრს) მინდა ასეთი განცხადება გავაკეთო: დაცალცალკევებული ერის მთავრობას გაუჭირდება მტერთან დიალოგი, რადგან ამ უკანასკნელმა იცის, რომ ეს ის ხელისუფლებაა, რომელმაც საკუთარ ხალხთან ვერ გამონახა ენა და მისი ნდობა ვერ მოიპოვა. უხეშად რომ ვთქვათ, ჩვენი მოწინააღმდეგისთვის ეს ის კოზირია, რომელიც მას სრულ გამარჯვებას უქადის. ადვილია დაამარცხო ქვეყანა, სადაც სრული ანარქიაა. ასე, რომ სანამ შინაურ საქმეებს ვერ მოაგვარებს და ერის გაერთიანებისაკენ ნაბიჯს არ გადადგამს, ამაოა დღევანდელი ხელისუფლების ფიქრი აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებაზე.

ი. არქანია.

სესხი მიიღე, მაგრამ როგორია უკუგება?

# მოგვჯერ საწარმოს პატრონი გაურკვეველია...

ზუგდიდის „ინდუსტრია — ბანკის" განყოფილების მმართველმა, ბატონმა მურთაზ კეიდიამ ჩვენს მიერ დასმულ კითხვებს ასე უპასუხა:

—რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენი ბანკი ოდნავ სახეცვლილი ატრიბუტიკით დაფუძნდა წინათ არსებული „მშენბანკის" ბაზაზე. რა თვისობრივ ფუნქციონალურ განსხვავებას გულისხმობს ამდაგვარი „მეტამორფოზა"?

—თუ წინათ „მშენბანკი" ასრულებდა როგორც დაფინანსების, ისე კონტროლის ფუნქციებს, ამჟამად იგი სხვა ბანკების დარად ასრულებს ყველა სახის საბანკო—საკრედიტო მომსახურებას ყოველგვარი დიფერენცირების გარეშე. ფუნქციონირების ეს ფართო სპექტრი მოიტანა თვით საბაზრო ურთიერთობათა სისტემაზე გადასვლამ. ჩვენი სამსახური დღეს მზად არის ითანამშრომლოს ნებისმიერ პარტნიორთან, სახელმწიფო, თუ კერძო სტრუქტურების ჩათვლით. შექმნილი უმძიმესი პირობების ფონზე ყოველნაირად ვცდილობთ კლიენტურამ ჩვენგან მიიღოს დადებითი ეკონომიკური შედეგი.

—ძირითადად რა ქმედით ბერკეტებს ფლობთ საიმისოდ, რომ ამ გაჭირვების ჟამს ალმოუჩინოთ დახმარება საწარმოო სტრუქტურებს, რათა თავი დააღწიონ გაკოტრების ულმობელ პროცესს?

—ჩვენს მიერ ხდება სესხების გაცემა იმ პირველი რიგის სასიცოცხლო პირობების შემქმნელ პრიორიტეტულ სტრუქტურებზე, რომლებმაც უნდა შემოიტანონ რეგიონში ნავთობპროდუქტები, სურსათი, აუცილებელი მოხმარების საგნები და ა. შ. ამასთან გავცემთ ხელფასებს შეღავათიანი სესხების საფუძველზე. ისეთ დროს, როცა ქვეყანაში უკიდურესად იგრძნობა კრედიტების დეფიციტი, ჩვენი ამდაგვარი ხელშეწყობა საწარმო დაწესებულებისათვის გარკვეული შვებაა. ფულის ნიშნების ასეთი დეფიციტის მიუხედავად, ასეთუისე მაინც ვახერხებთ ცალკეული პრობლემების დარეგულირებას.

დასანანია, რომ ასეთ თანადგომას სათანადოდ ვერ იყენებენ რიგი სტრუქტურები, იჩენენ არსებული რესურსების ამოძრავების სფეროში ინერტულობას. ამას მნიშვნელოვნად ხელს უწყობს მბრძანებლურ — ადმინისტრაციული მართვის სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის საჭირო კონცეფტუალური პროგრამის მიუღებლობა. საწარმოებისა და ორგანიზაციების პრივატიზაციის პროცესის შეყოვნებამ დაბადა გაურკვევლობის ვითარება ადგილებზე. წარმოების კონკრეტული პატრონი არ არის გამოკვეთილი. ფაქტიურად, სახელმწიფო ქონება უპატრონოდ, უპირსახოდ რჩება. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ჩავარდნილი საწარმოები გადახდის უუნარონი ხდებიან.

„ინდუსტრია ბანკი" ყველა საშუალებას მიმართავს, რათა შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციაში თავისი წვლილი შეიტანოს ნახევრადპარალიზებული, უნუგეშოდ დარჩენილი საწარმოების აღდგენა — რესტავრაციის უმნიშვნელოვანეს საქმეში. ღრმად ვითავისებთ მკაცრი დროის მიერ დაკისრებულ პასუხისმგებლობას სოციალურ — ეკონომიკური სტაგნაციის ფაზიდან რეგიონის გამოყვანის თვალსაზრისით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სააქციო საზოგადოების ტიპოგრივი წესდება

საააქციო საზოგადოება „—“ (შემდგომში—„საზოგადოება“ დაფუძნებულია „სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის—აპრილის №—დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 1. საზოგადოების დასახელება და ადგილმდებარეობა.

1. 1. საზოგადოების სრული ოფიციალური დასახელება „—“ საზოგადოების შემოკლებული დასახელება „—“.

1. 2. საზოგადოების ადგილმდებარეობა „—“

მუხლი 2. საზოგადოების იურიდიული სტატუსი

2. 1. საზოგადოება არის იურიდიული პირი. საზოგადოება იურიდიული პირის უფლებებს და მოვალეობებს იღებს რეგისტრაციის დღიდან.

საზოგადოებას აქვს ბეჭედი მისი დასახელებით, საფირმო ნიშანი (სიმბოლიკა), ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშები (ვალუტით) საბანკო დაწესებულებებში.

2. 2. საზოგადოების დამფუძნებელია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან ტერიტორიული ორგანო, რომელმაც დაამტკიცა მისი წესდება.

2. 3. საზოგადოებას თავის ვალდებულებებზე აკისრია პასუხისმგებლობა მხოლოდ თავის ქონების ფარგლებში. აქციონერები ზარალდებიან თავიანთი შენატანის (მათი კუთვნილი აქციების პაკეტის) ფარგლებში.

საზოგადოება პასუხს არ აგებს აქციონერთა ქონებრივ ვალდებულებებზე.

მუხლი 3. საზოგადოების საქმიანობის საგანი და მიზნები

3. 1. საზოგადოების ძირითადი მიზანია მოგების მიღება.

3. 2. სააქციო საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სახეებია... (მიეთითება საქმიანობის კონკრეტული სახეები).

3. 3. საზოგადოება თავისი საქმიანობის მიზნის შესაბამისად ახორციელებს სამეურნეო საქმიანობის ნებისმიერ სახეს, გარდა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობისა.

მუხლი 4. საწესდებო კაპიტალი

4. 1. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს „—“ მანეთს.

4. 2. რეგისტრაციიდან 30 დღის შემდეგ საზოგადოება უშვებს ერთნაირი ნომინალური ღირებულების „—“ ცალ ჩვეულებრივ აქციას.

აქციათა ნომინალური ღირებულება შეადგენს „—“ მანეთს. საზოგადოება აწარმოებს აქციონერთა რეესტრს მათში შემდეგი მონაცემების აუცილებელი ჩვენებით: აქციათა ტიპი და რაოდენობა, შეძენის თარიღი, აქციონერთა დასახელება (სახელი, გვარი) და ადგილმდებარეობა (საცხოვრებელი ადგილი), აქციების შეძენის ფასი.

4. 3. აქციონერის წერილობითი განცხადების საფუძველზე მას მიეცემა ამონაწერი აქციონერთა რეესტრიდან, რომელიც დამოწმებული იქნება სააქციო საზოგადოების ბეჭდით. სააქციო საზოგადოება ვალდებულია აწარმოოს რეესტრიდან ამონაწერთა ჟურნალი. ჟურნალი უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი და საზოგადოების ბეჭდით დამოწმებული. ყოველ აქციონერს უფლება აქვს დარწმუნდეს, რომ ის ჩაწერილია აქციონერთა რეესტრში, ხოლო აქციონერთა რეესტრის მწარმოებელი ვალდებულია აქციონერს წარუდგინოს ჩანაწერი მისი რეესტრში შეყვანის შესახებ.

მუხლი 5. აქციონერთა უფლება—მოვალეობანი

5. 1. ჩვეულებრივი აქციების ყოველ მფლობელს უფლება აქვს დაესწროს აქციონერთა კრებას და შეიტანოს წინადადებები განსახილველად პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის საშუალებით ამ წესდების შესაბამისად.

5. 2. აქციების ყოველ მფლობელს უფლება აქვს გაყიდოს თავისი აქციები სხვა აქციონერთა თანხმობის გარეშე.

5. 3. იმ პერიოდში, როდესაც სააქციო საზოგადოებაში სრულად არ არის რეალიზებული აქციები „საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის შესახებ“ დებულების 1 ნაწილის მე—12 პუნქტით განსაზღვრული წესით, საზოგადოებას უფლება არ აქვს:

—ჩვეულებრივ აქციებზე გასცეს დივიდენდები ფულადის ფორმის გარდა სხვა ფორმით;

— შეიძინოს თავის მიერ გამოშვებული აქციები.

5. 4. საზოგადოებას უფლება არ აქვს გასცეს დივიდენდები ჩვეულებრივ აქციებზე სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილ აქციებზე დივიდენდების დარიცხვამდე.

5. 5. ყოველი ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს აძლევს ერთ ხმას აქციონერთა კრებაზე.

5. 6. საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ქონება გამოიყენება ანგარიშსწორების საწარმოებლად შემდეგი თანმიმდევრობით:

—გაიცემა კუთვნილი წილი სააქციო საზოგადოების გარეშე ინვესტორებზე, ანუ აქციათა მფლობელ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საზოგადოების საწარმოო საქმიანობაში:

— სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების ოდენობის შესაბამის კუთვნილ წილს ღებულობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან ტერიტორიული ორგანო:

—კუთვნილ წილს მიიღებენ შრომითი კოლექტივის წევრი აქციონერები;

—ბოლოს კუთვნილ წილს მიიღებენ სააქციო საზოგადოების გამგეობისა და დირექტორთა საბჭოს წევრები.

ქონება განაწილდება ყოველ აქციაზე თანაბრად, აქციების მფლობელთა შორის სააქციო საზოგადოების მიერ გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობაში მათი წილის პირდაპირპროპორციულად.

მუხლი 6. აქციონერთა კრება.

6. 1. საზოგადოების მმართველობის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა კრება. წელიწადში ერთხელ საზოგადოება ატარებს აქციონერთა წლიურ შეკრებას.

წლიურის გარდა შეიძლება მოწვეულ იქნეს საგანგებო კრებები. აქციონერთა საგანგებო კრების მოწვევა ხდება გენერალური დირექტორის მიერ ნებისმიერი საკითხის განსახილველად. გენერალური დირექტორი ვალდებულია მოიწვიოს საგანგებო კრება, თუ ამას ითხოვს წერილობით დირექტორთა საბჭოს უმრავლესობა ან აქციონერთა ჯგუფი, რომლებიც ერთად ფლობენ საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების სულ ცოტა 10 პროცენტს. ასეთ წერილობით მოთხოვნაში უნდა იყოს ფორმულირებული აქციონერთა კრების ჩატარების მიზანი.

წერილობითი შეტყობინება კრების მოწვევის და მისი დღის წესრიგის შესახებ უნდა გაეგზავნოს ყოველ აქციონერს რეესტრში აღნიშნული მისამართით კრების ჩატარების თარიღამდე არა უგვიანეს 30 დღით ადრე შეკვეთილი წერილის მეშვეობით. კრების გადაწყვეტილებით შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს რომელიმე გაზეთში შესაბამისი განცხადების და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების გზით. დღის წესრიგი არ შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების შემდეგ.

6. 2. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აქციონერთა კრებისთვის საჭირო კვორუმი განისაზღვრება სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების სულ ცოტა 50 პროცენტის მფლობელთა პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლების დასწრებით. კვორუმის არ არსებობის შემთხვევაში დაინიშნება აქციონერთა ახალი კრების თარიღი, რომელზეც გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით, კვორუმის არსებობის მიუხედავად.

6. 3. მხოლოდ აქციონერთა კრების კომპეტენციაში შედის შემდეგი საკითხები, რომლებზეც გადაწყვეტილება მიიღება კრებაზე დამსწრე ჩვეულებრივი აქციების 50 პროცენტზე მეტის მფლობელების თანხმობით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული 6. 4. პუნქტით:

1) წესდებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანა;

2) საწესდებო კაპიტალის შეცვლა;

3) დირექტორთა საბჭოს და გამგეობის წევრების და ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა უფლება—მოვალეობების განსაზღვრა;

4) ბალანსის, მოგების და ზარალის ანგარიშის, დირექტორთა საბჭოს და აუდიტორიის ყოველწლიურ ანგარიშგებათა დამტკიცება;

5) ჩვეულებრივ აქციაზე გასაცემი დივიდენდის დამტკიცება;

6: სარევიზიო კომისიის წევრების და გარეშე, დამოუკიდებელი აუდიტორიების დანიშვნა, მათი საქმიანობის სფეროსა და ანაზღაურების განსაზღვრა;

7) მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სააქციო საზოგადოების ფილიალების, წარმომადგენლობის, განყოფილების შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;

8) გარიგებების და სხვა ქმედებების დამტკიცება, რომელთაც მოსდევს საზოგადოების სახელით ისეთი ვალდებულებების აღება, რომლებიც აღემატება დირექტორთა საბჭოსათვის მიცემულ უფლებებს;

9) საზოგადოების იმ ქონების გაყიდვის, გაცვლის, სხვა განკარგვის ან იჯარით გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც საზოგადოების აქციების 10 პროცენტზე მეტს შეადგენს;

10) ქვესაწარმოების შექმნისა და სხვა საწარმოებსა და გაერთიანებებში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება:

11. საზოგადოების შერწყმის შეერთების, სხვა ორგანიზაციულ—სამართლებრივი ფორმის საწარმოდ გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

12) საზოგადოების ლიკვიდაციის, სალიკვიდაციო კომისიის შექმნის და მისი ანგარიშის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

13) დირექტორთა საბჭოს წევრთა არჩევა, საზოგადოების გენერალური დირექტორის დანიშვნა.

საზოგადოების თანამდებობის პირთა ქმედებანი. რომლითაც ირღვევა ამ წესდების 6. 3. პუნქტი, იწვევს ამ პირთა პასუხისმგებლობაში მიცემას.

6. 4. 6. 3. პუნქტის 1—12 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტა საჭიროებს ჩვეულებრივი აქციების სამი მეოთხედის მფლობელთა თანხმობას, რომლებიც პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით ესწრებიან კრებას, გარდა 6. 5. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

6. 5. იმ პერიოდში, როდესაც სახელმწიფო არის საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების საერთო რაოდენობის 50 პროცენტის ან მეტის მფლობელი, მის წარმომადგენლობით ორგანოს განსაკუთრებული უფლება აქვს სხვა აქციონერთა თანხმობისა და კრების მოწვევის გარეშე:

—მიიღოს გადაწყვეტილება ლიკვიდაციის, აგრეთვე გაყოფისა და საწარმოდან ქვეგანაყოფების გამოყოფის შესახებ:

—დაადგინოს საზოგადოების თანამდებობების პირებთან კონტრაქტების პირობები, აგრეთვე განსაზღვროს ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა, დირექტორთა საბჭოს და გამგეობის წევრთა განაკვეთები და ანაზღაურება;

დაადოს ვეტო ნებისმიერ გადაწყვეტილებას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით ან ამ წესდებით დადგენილი პასუხისმგებლობიდან ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა ან დირექტორთა საბჭოს წევრთა განთავისუფლების შესახებ.

ამ პერიოდში 6. 3. პუნქტის მე—13 ქვეპუნქტი არ გამოიყენება. 6. 6. 6. 5 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფოს უფლებამოსილებანი წყდება იმ მომენტიდან, როდესაც მისი კუთვნილი აქციების რაოდენობა სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე ნაკლებია.

მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც სახელმწიფო თავისი წარმომადგენლობითი ორგანოს სახით არის საზოგადოების აქციონერი, მას უფლება აქვს დაადოს ვეტო საზოგადოების ორგანიზაციულ—სამართლებრივი ფორმის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

მუხლი 7. დირექტორთა საბჭო და გამგეობა

7. 1. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე თანამდებობის მიხედვით არის გენერალური დირექტორი.

7. 2. იმ შემთხვევაში, თუ დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის წევრებს აქვთ ფინანსური დაინტერესება გარიგებაში, რომლის მხარესაც წარმოადგენს ან აპირებს წარმოადგინოს საზოგადოება, აგრეთვე საზოგადოებას და აღნიშნულ პირს შორის წინააღმდეგობის სხვა შემთხვევაში, არსებულ ან მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით იგი ვალდებულია შეატყობინოს თავისი დაინტერესების შესახებ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღებამდე (გარიგების დადებამდე);

გარიგებაზე თანხმობა უნდა განაცხადოს დირექტორთა საბჭოს წევრთა უმრავლესობამ, რომლებსაც არ აქვთ ფინანსური დაინტერესება ან აქციონერთა უმრავლესობამ,

დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის წევრს. რომელმაც აღნიშნული სახით შეატყობინა დირექტორთა საბჭოს თავისი ფინანსური დაინტერესების ან სხვა ინტერესთა წინააღმდეგობის შესახებ, უფლება არა აქვს მიიღოს მონაწილეობა ასეთ გარიგებასთან დაკავშირებულ განხილვაში ან კენჭისყრაში: დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის წევრი ითვლება ფინანსური დაინტერესების მქონედ, თუ ის არის შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში ან აქვს მესაკუთრის ან კრედიტორის უფლებები იმ იურიდიული პირების მიმართ; რომლებიც არიან საზოგადოებისათვის საქონლის ან მომსახურების მიმწოდებლები ან საზოგადოების მიერ წარმოებული საქონლის ან მომსახურების მსხვილი მომხმარებლები ან შეუძლიათ მიიღონ მოგება საზოგადოების ქონების განკარგვიდან; ან რომელთა ქონებაც ნაწილობრივ ან მთლიანად შექმნილია საზოგადოების მიერ, აგრეთვე ის ფიზიკური პირები, რომელთა მიმართაც შეიძლება გამოყენებული იქნეს რომელიმე აღნიშნული განსაზღვრება.

7. 3. დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის წევრებმა არ უნდა გამოიყენონ საზოგადოების შესაძლებლობანი ან დაუშვან მათი გამოყენება სხვა მიზნით, გარდა 7. 1 პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისა.

ტერმინით „საზოგადოების შესაძლებლობანი“ ამ პუნქტში იგულისხმება:

—საზოგადოების კუთვნილი ყველა ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები;

— შესაძლებლობები სამეურნეო საქმიანობის სფეროში;

—ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის და გეგმების შესახებ;

საზოგადოების ნებისმიერი უფლებები, რომლებსაც აქვთ მისთვის ფასეულობა.

7. 4. დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის წევრებს ამ თანამდებობებზე თავიანთი მუშაობის პერიოდში არ აქვთ ისეთი საწარმოს დაფუძნების ან ისეთ საწარმოებში მონაწილეობის უფლება, რომლებიც კონკურენციას უწევენ საზოგადოებას, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ის ნებადართული იყო დირექტორთა საბჭოს დაუინტერესებელი წევრების უმრავლესობის ან საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების უმეტესობის მფლობელი აქციონერების მიერ.

7. 5. დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის წევრები ვალდებული არიან აგრეთვე შეასრულონ აქციონერთა კრების მიერ დადგენილი სხვა წესები.

7. 6. დირექტორთა საბჭოს და გამგეობას უფლება არა აქვთ პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღონ ანაზღაურება დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის გამო. დირექტორთა საბჭოს და

(დასასრული მე—3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სააქციო საზოგადოების ტიპობრივი წესდება

(დასასრული)

გამგეობის წევრებს აკისრიათ პასუხისმგებლობა ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო მიყენებულ ზარალზე საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. 7. დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის წევრები ვალდებული არიან შეასრულონ თავისი მოვალეობანი კეთილსინდისიერად და ისეთი სახით, როგორსაც სააქციო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. ისინი საუკეთესოდ თვლიან.

7. 8. დირექტორთა საბჭოს და გამგეობის წევრებს აკისრიათ პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე მისთვის მიყენებული ზიანის გამო, რაც გამოიწვია მათ მიერ წესდებით განსაზღვრული თავიანთი ფუნქციების შეუსრულებლობამ და უყურადღებოდ შესრულებამ.

7. 9. დირექტორთა საბჭოს ან გამგეობის წევრები, რომლებიც არღვევენ 7. 1.— 7. 8. პუნქტებით დადგენილ მოვალეობებს, პასუხს აგებენ მიყენებული ზიანის მთლიანი მოცულობის (აქ შედის ხელიდან გაშვებული მოგებაც) სრული საბაზრო ღირებულებით ანაზღაურების სახით.

მუხლი 8. დირექტორთა საბჭოს სხდომა

8. 1. დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შედის: საზოგადოების გენერალური დირექტორი (ან მისი წარმომადგენელი); საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელი, საწარმოს მუშაკთა წარმომადგენელი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი.

საზოგადოების გენერალურ დირექტორს (მის წარმომადგენელს) აქვს ორი ხმა, დირექტორთა საბჭოს ყველა დანარჩენ წევრს ერთი.

8. 2. დირექტორთა საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთი სხდომისა, საბჭოს ერთერთი სხდომა (წლიური) ტარდება ფინანსური წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს 3 თვის განმავლობაში. საზოგადოების წლიური ბალანსის, მოგების დარიცხვის და აუდიტორიის ანგარიშის განსახილველად. საბჭოს თავმჯდომარე იწვევს წლიურ სხდომას და ამზადებს დღის წესრიგს. წლიურ სხდომაზე თავმჯდომარე საბჭოს წარუდგენს სრულ ფინანსურ ინფორმაციას, აგრეთვე საზოგადოების საქმეების მიმდინარე მდგომარეობის, გეგმებისა და შედეგების ანგარიშს. დირექტორთა საბჭოს რიგგარეშე სხდომები შეიძლება მოწვეულ იქნეს დირექტორთა საბჭოს ნებისმიერი ორი წევრის მიერ.

8. 3. შეტყობინება დირექტორთა საბჭოს სხდომის შესახებ წერილობით ფორმაში და დირექტორთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით გაეგზავნება ყველა წევრს. შეტყობინებას თან დაერთვება დღის წესრიგთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი. სხდომაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს საკითხები, რომლებიც არ იყო მითითებული შეტყობინებაში. საჭიროების შემთხვევაში დირექტორთა საბჭოს ნებისმიერი სხდომა შეიძლება გადაიდოს ყველა წევრის თანხმობით.

8. 4. დირექტორთა საბჭოს ყველა გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

8. 5. დღის წესრიგში შედის საკითხები, რომლებიც წამოაყენეს დირექტორთა საბჭოს წევრებმა, სარევიზიო კომისიის წევრებმა, აგრეთვე გენერალურმა დირექტორმა და აქციონერებმა, რომლებიც ერთად ფლობენ ჩვეულებრივ აქციების სულ ცოტა 5 პროცენტს.

8. 6. დირექტორთა საბჭოს ოქმი იწარმოება საბჭოს მიერ დადგენილი წესით. საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ოქმები ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად ნებისმიერი აქციონერის, დირექტორთა საბჭოს წევრისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის. ყველა ოქმი ხელმოწერილი უნდა იყოს თავმჯდომარის და მდივნის მიერ.

მუხლი 9. დირექტორთა საბჭოს კომპეტენცია.

9. 1. დირექტორთა საბჭოს აქვს საზოგადოების საქმიანობისა და მისი შინაური საქმეების შესახებ ყველა საკითხზე გადაწყვეტილების მიღების უფლება, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც შედის მხოლოდ აქციონერთა კრების კომპეტენციაში.

9. 2. დირექტორთა საბჭოს უფლება არა აქვს თავისი უფლებამოსილების სხვა პირებისათვის ან ორგანოებისათვის დელეგირებისა, თუ სხვა რამ პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით და ამ წესდებით.

9. 3. დირექტორთა საბჭოს აქვს შემდეგი უფლებამოსილებანი და ვალდებულებანი შესაბამის გადაწყვეტილებათა მისაღებად;

—ურჩიოს აქციონერებს საწესდებო კაპიტალის გაზრდის ან შემცირების სიდიდე, პირობები, წესი და წერილობით ფორმაში დაადასტუროს, რომ საწესდებო კაპიტალის ნაზრდი ტოლია შესაბამისი შესატანის საბაზრო ღირებულებისა:

—დაამტკიცოს გენერალური დირექტორის მიერ წარდგენილი დებულება სააქციო საზოგადოების გამგეობის შესახებ;

—მიიღოს საზოგადოების შიგნით ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები;

—მიიღოს საბჭოს სხდომის ჩატარების წესები და რეგლამენტი;

—დაამტკიცოს ნებისმიერი ისეთი გარიგების დადება ან შეწყვეტა, სადაც ერთ მხარეს წარმოადგენს სააქციო საზოგადოება, ხოლო მეორეს —საწესდებო კაპიტალის სულ ცოტა 5 პროცენტის მფლობელი ნებისმიერი აქციონერი. დირექტორთა საბჭოს წევრი, გამგეობის წევრი ან საზოგადოების თანამდებობის პირი;

—მისცეს აქციონერებს რეკომენდაციები ფილიალების, განყოფილებების, წარმომადგენლობების ან ქვესაწარმოების შექმნასთან დაკავშირებით;

—დანიშნოს ან დაითხოვოს გამგეობის თანამდებობის პირები გენერალურ დირექტორთან შეთანხმებით;

—განსაზღვროს ყველა ანგარიშის, ანგარიშგების, გასავლების, მოგების და ზარალის გამოანგარიშების სისტემის წარდგენის წესი, ამორტიზაციასთან დაკავშირებული წესების ჩათვლით;

—განსაზღვროს პოლიტიკა და მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება სესხების, კრედიტების, გარანტიების გაცემას და ამოღებას;

—მისცეს რეკომენდაციები აქციონერისათვის გადასახდელი დივიდენდების სიდიდის შესახებ;

—მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების მიერ ისეთი კაპიტალდაბანდებების განხორციელების შესახებ, რომლებიც არ აღემატება წინა წელს განხორციელებული კაპიტალდაბანდებების 10 პროცენტს (გარდა საზოგადოების საქმიანობის პირველი წლისა), მაგრამ არა უმეტეს საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტისა;

—დაამტკიცოს აქციონერთა კრების მიერ დადგენილი წესით დადებული გარიგებანი საზოგადოების აქტივებით, რომელთა სიდიდე აღემატება წინა წლის წლიური შემოსავლის 5 პროცენტს (პირველი წლის განმავლობაში —საწესდებო კაპიტალის 5 პროცენტს).

მუხლი 10. გენერალური დირექტორი და გამგეობა

10.1 გენერალური დირექტორი ახორციელებს საზოგადოების საქმიანობის ოპერატიულ ხელმძღვანელობას, რისთვისაც მას ეძლევა ყველა უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. გენერალური დირექტორი თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედ კანონმდებლობასა და წესდებასთან მკაცრ შესაბამისობაში.

10.2 გამგეობა არის საზოგადოების აღმასრულებელი ორგანო და მოქმედებს დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

10. 3. დირექტორთა საბჭოს სხდომებსა და აქციონერთა კრებებზე გამგეობის შეხედულებებს წარმოადგენს გენერალური დირექტორი.

10.4. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე იმოქმედოს საზოგადოების სახელით.

მუხლი 11. საზოგადოების აღრიცხვა და ანგარიშგება

11. 1. საზოგადოების ბალანსი, მოგების და ზარალის ანგარიში დგება მანეთებში.

11.2. საზოგადოების ფინანსური წელი იწყება რეგისტრაციის მომენტიდან და მთავრდება მიმდინარე წლის 31 დეკემბერს. შემდგომი ფინანსური წლები შეესაბამება კალენდარულს.

11.3 ბალანსი, [illegible] გების და ზარალის, აგრეთვე ანგარიშგებისათვის საჭირო სხვა ფინანსური დოკუმენტები დგება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. 4. საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით იწარმოება სრული დოკუმენტაცია, მათ შორის:

—საზოგადოების დამფუძნებელი დოკუმენტები, აგრეთვე საზოგადოების შინაგანი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები, შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით.

—საბუღალტრო აღრიცხვის ყველა დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია საზოგადოების საკუთარი რევიზიების, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ორგანოების მიერ შემოწმებების ჩასატარებლად;

—აქციონერთა რეესტრი;

—დირექტორთა საბჭოს და სარევიზიო კომისიის სხდომების, აქციონერთა კრებების ოქმები;

—იმ პირთა ნუსხა, რომლებსაც აქვთ საზოგადოების წარმომდგენის რწმუნებები;

დირექტორთა საბჭოს ყველა წევრის და საზოგადოების ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა სია.

ეს დოკუმენტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად აქციონერებისათვის და მათი უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის სამუშაო დღის ნებისმიერ დროს. აქციონერებს და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ გადაიღონ პირები აღნიშნული დოკუმენტებიდან, გარდა იმ დოკუმენტებისა, რომლებიც შეეხება საზოგადოების კომერციულ საიდუმლოს.

მუხლი 12. სარევიზიო კომისია

12. 1. სარევიზიო კომისია შედგება სულ ცოტა სამი კაცისაგან, რომელიც არჩეულია საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების 50 პროცენტზე მეტის მფლობელთა მიერ. სარევიზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს თავისი წევრების ხმათა უმრავლესობით. დირექტორთა საბჭოს თხოვნით სარევიზიო კომისიის წევრები შეიძლება დაესწრონ მის სხდომებს.

12. 2. აქციონერთა წლიურ კრებამდე არაუგვიანეს 10 დღისა, სარევიზიო კომისია წარუდგენს დირექტორთა საბჭოს ანგარიშგებას წლიური შემოწმების შედეგების შესახებ, რომელიც ტარდება ამ წესდების მე—11 მუხლით დადგენილი საბუღალტრო აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების წარმოების წესებით. დაუგეგმავი რევიზია სარევიზიო კომისიის მიერ ტარდება საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების სულ ცოტა 10 პროცენტის მფლობელთა წერილობითი მოთხოვნით ან დირექტორთა საბჭოს წევრების უმეტესობის მოთხოვნით. საზოგადოების მუშაკები ვალდებული არიან დროულად უზრუნველყონ სარევიზიო კომისია ყველა აუცილებელი ინფორმაციით და დოკუმენტებით.

მუხლი 13. საზოგადოების ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

13. 1. საზოგადოება შეიძლება ლიკვიდირებული ან რეორგანიზებული იქნეს შემდეგ შემთხვევებში:

—საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით:

—სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით საზოგადოების გაკოტრების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად;

—საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და მისი ტერიტორიული ორგანოს გადაწყვეტილებით, ამ წესდების 6,5 პუნქტის შესაბამისად.

13.2. საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში, გარდა სასამართლოსა ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით ლიკვიდაციის შემთხვევისა, დირექტორთა საბჭო ქმნის სალიკვიდაციო კომისიას, განსაზღვრავს ლიკვიდაციის ჩატარების ვადებს და წესს, ადგენს პრეტენზიების წამოყენების ვადას კრედიტორებისათვის, რომელიც არ შეიძლება იყოს ორ თვეზე ნაკლები და სამ თვეზე მეტი ლიკვიდაციის გამოცხადების მომენტიდან.

13. 3. სალიკვიდაციო კომისია ატარებს ლიკვიდაციას, ადგენს სალიკვიდაციო ბალანსს და წარუდგენს მას დირექტორთა საბჭოს. თავისი დანიშვნის მომენტიდან სალიკვიდაციო კომისია თავის თავზე იღებს დირექტორთა საბჭოს, გამგეობის და გენერალური დირექტორის ფუნქციების შესრულებას. ამ მომენტიდან ის არის სააქციო საზოგადოების ერთადერთი უფლებამოსილი წარმომადგენელი მის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში. თავისი შექმნის მომენტში კომისია საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით ოფიციალურ პრესაში აქვეყნებს ცნობას საზოგადოების ლიკვიდაციის, კრედიტორების მიერ პრეტენზიის გამოცხადების წესისა და ვადების შესახებ. კომისიამ უნდა გამოაქვეყნოს პირველი ცნობა არა უგვიანეს მისი შექმნიდან ერთი კვირის შემდეგ და გაიმეოროს იგი არა უადრეს 14 და არა უგვიანეს 30 დღისა. სალიკვიდაციო კომისია ახორციელებს მუშაობას დებიტორული დავალიანების დაბრუნებასა და კრედიტორების პრეტენზიების გამოვლენასთან დაკავშირებით.

13. 4. საზოგადოების ქონება გაიყიდება აუქციონზე სალიკვიდაციო კომისიის მიერ. აღებული თანხა ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემდეგ გამოიყენება კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. დარჩენილი აქტივები განაწილდება აქციონერთა შორის ამ წესდებით დადგენილი წესით.

13.5. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების სახსრები ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემდეგ არ არის საკმარისი კრედიტორების ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, საზოგადოების სახსრები განაწილდება კრედიტორთა შორის რიგის მიხედვით, კრედიტორთა მოთხოვნის პროპორციულად, მოქმედი კანონმდებლობით.

13.6. საზოგადოება ითვლება ლიკვიდირებულად ან რეორგანიზებულად სახელმწიფო რეგისტრაციის რეესტრიდან მისი ამოღების მომენტიდან.

13. 7. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და მისი ტერიტორიული ორგანოს გადაწყვეტილებით საზოგადოების გაყოფის შემთხვევაში სააქციო საზოგადოების აქტივების ნაწილი გადაეცემა ახლად შექმნილ სააქციო საზოგადოებებს საწესდებო კაპიტალში შენატანების სახით მისი აქციების სანაცვლოდ ან ხორციელდება სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციის სხვა ღონისძიებები, რომლებიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით;

13. 8. ამ წესდების შესაბამისად რეორგანიზაციის გადაწყვეტილების მიღებიდან 13.7 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს 30 დღის განმავლობაში.

13.9. რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის პირობები და წესები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ წესდებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

# კრიმინალები უნივერსიტეტსაც სტუმრობ

ზუგდიდში უნივერსიტეტის გახსნა, ამ ძნელბედობის ჟამს, მზის ერთგვარი გამონათება იყო, რომელმაც იმედის სხივი აგვიკიაფა სულში და ახალგაზრდების მოზღვავებით სიხალისე დაუბრუნა ქალაქს. ეს დიდი ხნის ნაოცნებარი „ზღაპარი" დღეს სინამდვილეა და მისი დაცვა-განმტკიცებისათვის ბრძოლა თითოეული ჩვენთაგანის ღვიძლი საქმეა. ამ დიდი მონაპოვრის შენარჩუნებას ერთმანეთის თანადგომითა და თანაგრძნობით თუ შევძლებთ. დიდ მონაპოვარს დიდი დაცვა უნდა. თუ არა და მაქანსა და მავანს არ სძინავს. დღემუდამ ცდილობს აქციოს იგი განხეთქილების ვაშლად. უხილავ ძალებს სურთ უნივერსიტეტი ეროვნულ მოძრაობას დაუპირისპირონ. დარწმუნებული ვარ, ეს არ მოხდება, რადგან უნივერსიტეტი ყოველთვის ედგა თავის ხალხს ერის ბედნიერებისათვის ზრუნვის საქმეში.

მავანი ცდილობს თაფლში მწარე ნაღველის არევას. სხვა რა უნდა დაერქვას იმას, რაც უნივერსიტეტის მიერ დაკავებულ მეთორმეტე ტრესტის და სპეცკომენდატურის შენობებში ხდება. წარმოიდგინეთ, დღეს ჩადგმული საკეტები თუ ფანჯრის მინები მეორე დილით უკვე აღარ არის. გააქვთ ყველაფერი, აჭადგურებენ მერხებს, სკამებს, ხსნიან კარებს და ფანჯრის ჩარჩოებსაც კი, მთლიანად განადგურებულია გათბობის სისტემა. ერთი წუთითაც არ მინდა დავიჯერო, რომ ასეთ ქმედებას რაიმე პირადი სიძულვილით ან პოლიტიკური კონიუნქტურით ნაკარნახევი ქვენა გრძნობა უდევს სარჩულად. უფრო კრიმინალების ნაავკაცარი მგონია. ასეა თუ ისეა, ამ წმინდა საქმეს ვინც ებრძვის იყ უცეთური და ვაიქართველია. და მათ წინააღმდეგ უნდა აღდგეს ხალხი. დავუფიქრდეთ, ნუ მოვჭრით იმ ტოტს, რომელზედაც ვზივართ და ამით ჩვენს შვილებს ნუ ჩავუქრობთ იმ დიდ სანთელს, რომელიც აქ დაინთო. მერწმუნეთ, არ გვაპატიებენ. არ შეგვინდობენ და სამართლიანადაც.

ჩვენთვის ხომ კარგად არის ცნობილი ზუგდიდში ადრე არსებული სამასწავლებლო ინსტიტუტის ისტორია. მან მხოლოდ ხუთი წელი შესძლო ეარსება. მისი დახურვის თაობაზე არსებობს მრავალი ვერსია, რომელთა განსჯა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ერთი კი ფაქტია, მაშინ ზუგდიდელებმა ვერ მოვუარეთ მას, ვერ ვივარგეთ. გავფრთხილდეთ, ამჯერადაც არ გავიმეოროთ ძველი შეცდომები. დავეხმაროთ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ცოდნის ტაძრის ზუგდიდში საბოლოოდ დამკვიდრების საქმეში. ნუ ვიქნებით უმადურები, მოვიშოროთ შური, ბოლმა; შევუნდოთ ერთმანეთს.

ეს წერილი მინდა ერთი ასეთი ბრძნული გამონათქვამით დავამთავრო: ცხოვრება წიგნია, რასაც ყველა თვითონ წერს. არაფრის წერა არ შეიძლება შავად, ლაქებიანად, უსუფთაოდ: გადაწერან არ დგვაცლიან. წერა ისე უნდა, რომ მერე ცხოვრების წიგნის რომელიმე გვერდის გადაშლა არ ისურვო.

**ნ. ჯგუშია,**
ქურნალისტი.

# ვის ვპარავთ?...

ამ ბოლო დროს ბევრი ცუდი ჩვევა დაგვჩემდა ზუგდიდელებს, საგულდაგულოდ გავითავისეთ ბოროტება და უზნეობა. განსაკუთრებით ქრისტეს მცნება „არ იქურდო" არ მოგვდის თვალში, რადგან სინდისი არ გვიკრძალავს სხვისი ქონების მოპარვასა და მიტაცებას. ვიტაცებთ ყველგან და ყველაფერს. ვქურდობთ საექსპერიმენტო თუ ნაცადი ხერხებით. ვიპარავთ ჯიბიდან, ბინიდან, მაღაზიიდან, ქარხნებიდან, ბაღ-ბაღებიდან, სკოლებიდან. მე ამ ბოლო „ობიექტზე" მინდა შევჩერდე;

რა არ მიაქვთ სკოლებიდან: მერხები, მინები, ფარდები, ტელეფონის აპარატები, ხანდახან უმნიშვნელო საგნებიც კი, მაგრამ მათ გვერდით... კომპიუტერებიც. ზუგდიდში გამოთვლითი ტექნიკით აღჭურვილი სულ რამდენიმე სკოლა იყო, სადაც მოსწავლეებს შეეძლოთ კომპიუტერებზე პრაქტიკულად მუშაობა, რაც ერთ-ერთი დიდი ნაბიჯი იყო ჩვენი ქალაქის კომპიუტერიზაციის დონის ამაღლების სამომავლო საქმეში. მაგრამ ქურდბაცაცებმა საგულდაგულოდ იზრუნეს მათ [illegible]კომპიუტერებზე". მხოლოდ ბავშვების მოგონებებს თუ შემორჩა ზუგდიდის რეგიონალური „ინფორმატიკის" ცენტრის ესთეტიკური და კეთილმოწყობილი დისპლეის კლასები, რომლებიც სხვაგან არ ყოფილა, ... საბჭოთა თუ უცხოური კომპიუტერებით იყო დაკომპლექტებული. იგი საუკეთესო ბაზა იქნებოდა ქალაქის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, რომლებიც გამოთვლით ტექნიკას მოკლებულნი არიან.

...ალბათ, სადღაც სარდაფებში ყრია უგულო და განსჯისუუნარო ადამიანების მიერ მოპარული და განადგურებული კლავიატურები და მონიტორები, რომლებსაც თავისი სასწავლო-სადემონსტრაციო ფუნქცია დაუკარგეს, თავიანთთვის კი ზედმეტ „ყუთებად" აქციეს. მათ ავ თვალს გადარჩენილ თითო-ოროლა კომპიუტერებზე კი მასწავლებლები იძულებულნი ვართ „პარტიზანულად" ვამუშაოთ მოსწავლეები.

რას ვიპარავთ და ვის ვპარავთ, თუ ვიცით?

**მ. კაკულია,**
ინფორმატიკის მასწავლებელი.

# ღირსეული

გაზეთ „განათლების" ამა წლის 19 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა ჟურნალისტ ჯაშბულ ჯიქიას წერილი „ღირსეული", რომელიც ეხება თბილისში მოღვაწე ზუგდიდელ მეცნიერს კოტე პერტაიას. გთავაზობთ აღნიშნულ წერილს მცირეოდენი შემოკლებით:

„არის დღე, რომელიც მთელი ცხოვრება გახსოვს.

ერთი ასეთი იყო ის მშვენიერი დილა, თბილისიდან ჩამოსულ მეცნიერებს რომ დავხვდით ზუგდიდის რკინიგზის სადგურში. აქ პირველად გავიცანი ცნობილი მათემატიკოსი გვანჯი მანია. იგი მამაჩემთან მეგობრობდა. ამით გათამამებულმა, ბუნებრივია, სხვა მოსწავლეებს წინ გავუსწარი და ყვავილები მივართვი. სახელმოხვეჭილმა მეცნიერმა მოზარდებს სიტყვით მიმართა, რომელიც ასე დაასრულა:

ზუგდიდის რაიონში არაერთი თვალსაჩინო მეცნიერი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე აღზრდილა და დავაჯკაცებულა. მათ შორის ბევრი ახალგაზრდა ჩემი მოსწავლეა. შემიძლია დაგისახელოთ კახათელი კონსტანტინე ბიქტორის ძე პერტაია.

ზუგდიდელი ჭაბუკის ასეთმა აღიარებამ, ცხადია ყველა გაგვახარა. მას მერე, სულ მაინტერესებდა ახალგაზრდა მეცნიერის შემოქმედებითი წარმატების ამბავი...

როგორ გავიხარე, როცა ახლახან მეცნიერებათა აკადემიის გ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტში, სადაც იგი უფროს მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობს, კონსტანტინე პერტაია დამიხასიათეს, როგორც ნიჭიერი, მზარდი მეცნიერი.

სხვანაირად არ შეიძლება მომხდარიყო, რადგან იგი ზუსტი მეცნიერებით თავიდანვე იყო დაინტერესებული. კახათის საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა—მათემატიკის ფაკულტეტზე განაგრძო. აქ მას ლექციას უკითხავდნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები ნიკო მუსხელიშვილი, ვიქტორ კუპრაძე, ევგენი ხარაძე, გიორგი ჭოღოშვილი, ნიკო ვეკუა, ბორის ხვედელიძე და სხვები.

ახალგაზრდა სპეციალისტი უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე სამუშაოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში გაიგზავნა. აქ მან თავი ისე გამოიჩინა, რომ საყვარელი მასწავლებლის ევგენი ხარაძის ყურადღება მიიპყრო, მისივე ბრძანებით იგი გეოფიზიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად დაინიშნა, სადაც დღესაც მუშაობს...

ბატონი კოტეს საკანდიდატო ნაშრომმა „ელექტრული ველის გათვლა ღეროვანი ტიპის ელექტროსტატიკურ გენერატორებში" ფართო აღიარება მოიპოვა.

კოტე პერტაია ნაყოფიერად მუშაობს გამოყენებით მათემატიკაში, თეორიულ ელექტროტექნიკასა და გეოფიზიკაში. იგი არის 24 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. გამოაქვეყნა ორი მონოგრაფია თბილისში, ორიც მოსკოვში მ. ალექსიძის თანაავტორობით, 16 სამეცნიერო სტატია სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში, რომელთაგან ერთი თარგმნილია ინგლისურ ენაზე, 3 სამეცნიერო ნაშრომი ინახება გეოფიზიკის ინსტიტუტის ფონდებში, ხოლო ერთი სტატია დეპონირებულია „ვინიტი"—ში. აღსანიშნავია, რომ კოტე პერტაიამ ორი სტატია გამოაქვეყნა აკადემიკოს ი. ვეკუას წარდგინებით, რომელთაგან ერთი ითარგმნა ინგლისურ ენაზე.

კ. პერტაიას მონოგრაფიები და სტატიები გამოყენებულია მრავალი მეცნიერის შრომებში, მათ შორის ვ. კუპრაძის, თ. გეგელიას, თ. ბურჭულაძის და მ. ბაშალეიშვილის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში, „დრეკადობის მათემატიკური თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანები", რომელიც დაიბეჭდა პირველად თბილისში, შემდეგ მოსკოვში, გვიან კი ნიუ-იორკში, ოქსფორდსა და ამსტერდამში; აგრეთვე პროფესორ ვ. ილინის მონოგრაფიაში „ელექტროოპტიკის ამოცანები", რომელიც დაიბეჭდა ნოვოსიბირსკში. კ. პერტაიას სტატიები გამოქვეყნებული აქვს ისეთ მეცნიერებთან თანაავტორობით, როგორებიცაა მ. ალექსიძე, ვ. ბეჟანოვი, ნ. ლეკიშვილი, ნ. არველაძე, ვ. პოპოვი, გ. გუგუნავა, გ. სილაგაძე, მ. ნიკოლაიშვილი. იგი ამჟამად წარმატებით მუშაობს გამოყენებითი მათემატიკისა და გეოფიზიკის აქტუალურ პრობლემებზე".

## გამოსათხოვარი

### გურამ ხურცილავა

ნაადრევად გამოაკლდა კავშირგაბმულობის კოლექტივს ფუტკარივით მშრომელი, თავისი საქმის ღრმა მცოდნე სპეციალისტი გურამ ვლადიმერის ძე ხურცილავა.

კაცი, რომელსაც ჰქონდა მაღალი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი და პროფესიული დახელოვნება.

მისი უანგარო მუშაობა მრავალჯერ იყო აღნიშნული კავშირგაბმულობის რესპუბლიკური და საკავშირო სამინისტროების ჯილდოებით. მინიჭებული ჰქონდა „შრომის ვეტერანის" წოდება.

წავიდა ჩვენგან დიდებული მეგობარი და მოქალაქე, თან გაჰყოლია ჩვენი გულების ნაწილი. გურამის ხსოვნა არასოდეს დაიბინდება დავიწყებით.

მსუბუქი იყოს მისთვის კოლხური მიწა.

**კავშირგაბმულობის კოლექტივი.**

**სარედაქციო კოლეგია**

# ნუ გაძლებით განზე

ორმოცი წლის კაცია თენგიზ კვარაცხელია. გულქვა კაცის ტყვიამ ლოგინს მიაჯაჭვა და ცხოვრებისა და სიცოცხლის იმედი ჩაუქრო. ზურგის ტვინი დაუზიანდა. ხერხემლის მე—5 და მე—6 მალა ამოღებული აქვს. კვარაცხელიების ოჯახმა შესაძლებელი არ დაიშურა, მიუხედავად ნაცად ექიმებთან მკურნალობისა, თენგიზის მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდა. ერთადერთი გამოსავალი, როგორც მედიკოსები ფიქრობენ ავადმყოფის სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაგზავნაა. რაც გასაგებია სერიოზულ თანხებთანაა დაკავშირებული.

თენგიზ კვარაცხელიას სახელზე აგრობანკში გახსნილია ანგარიში №70080.

ვფიქრობთ, ზუგდიდელები არც ამჯერად გადგებიან განზე და დახმარების ხელს გაუწვდიან კვარაცხელიების ოჯახს.

---

ზუგდიდის „ინფორმატიკის" ცენტრის კოლექტივი ულოცავს **ზოია ნაპოლ ასულ ჯიმონაიას** დაბადების დღეს და უსურვებს ბედნიერ ცხოვრებას ოჯახთან ერთად.

---

ჩაის კომბინატ „ოდიშის" კოლექტივი იუწყება რომ გარდაიცვალა თანამშრომელი

**რუსუდან ნორაკიძე**

და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

---

დედა ქუჟუნა წულაია, მამა აპოლონ (მაცი) ხვიტია, მეუღლე თამუნა კვარაცხელია, შვილი ლევანი, და ხათუნა, ძმა მერაბი, სიდედრი ციური სორდია, სიმამრი თენგიზ კვარაცხელია, რძალი ელისო ქვანია, სიძე ბადრი კორკელია, ბიძები კალისტრატე, გულივერი, ხუტა ხვიტიები, სერგო, ვაჟა წულაიები ოჯახებით იუწყებიან

**პეტრე (პეტო) აპოლონის ძე ხვიტიას**

გარდაცვალებას.

---

შვილები გული, გურამი, ვაჟა, ტოტო შულაიები მულები ოლია შულაია, რაისა კაკაჩია, რძლები მარინა წულაია. ლუიზა წურწუმია, ნუცა ყალიჩავა, გული ქიზუა, ძმისშვილები სულიკო, იამზე, ელისო. ვალერი ქობალიები, ჯანიკო ქაჯუთია. შვილიშვილები ლელა ცხაკაია, რევაზი. დიმიტრი. ირაკლი. ნინო დათო შულაიები, სიძე მურმან შედანია, მულიშვილები ლენა ახალაია ოდიკი, ვილოდი, ნუგზარი პერტაიები, თინიკო. სერგო კალანდიები. გია გერანტია, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, შვილთაშვილები, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ნინა (ნუცა) ქობალია—შულაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21 მაისს. დაკრძალვა 22 მაისს. შაბათს. გამოსვენება 17 საათზე. ქუთაისის ქ. №58-დან.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-38-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-21-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

[illegible] ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-22-97, ტირაჟი 700, შეკ. №488.